

72
90

ISSN 0132-5965



საქართველოს
რეპუბლიკის
საქართველოს



1990 წ. სამეცნიერო № 4

საქართველოს
რეპუბლიკის
საქართველოს

ბავშვული

შიშ მფვიძალი

საქართველო
1992-1993წწ

მტრების ყურათ განათებულს
გაღუერია ცხს წუკდაიდი;
აღმოსაუღუეს ზირი უკრთის.
განთიადი!.. განთიადი!..

ახმაურდა ფრინველთ გუნდი,
მთა და ველმა გახსნა გული;
შორს მინდორი მობიბინებს
მოკასმული, მოქარგული.

ტუეს და ჭდალს აშრიაღებს
საამურათ ნიაგ-ქარი;
ნეკერჩხალი ჭკოცნის მუნას,
როგორც კაი შეკობარი.

ემაწვიღებო, კაიღვიძეთ,
არ გეყოფათ? კმარა ძილი!
შეკურთეთ თქვენც ბუნებას
სიკასკაცე და სიცილი.

შეხეთ მერცხალს, გაზაფხულის
მოციქულს და მახარობელს,
როგორ ტებილად შესჭკიკიკებს
თავისს დედას, თავისს შობებელს.

ორივე კი ერთი გრძნობით
მისცემიან სინარულსა;
აქებენ და აღიღებენ
განთიადს და გაზაფხულსა.



ეს ლექსი ქართული საემანუელი ჟურნალის «ჯეჯილის» 1902 წლის ერთ-ერთი ნომრიდან გადმოვ-
ბეჭდეთ ჟურნალის საბრბილეთი თარიღითან დაკავშირებით — «ჯეჯილს» 100 წელი შეესრულდა.

... ეს იყო 1890 წელს. «ხელისმომწერთ დიურთადათ» ახალი საემანუელი ჟურნალი «ჯეჯილი» ანასტა-
სია თუმანიშვილის რედაქტორბობით. აი, რას წერდა გაზუეთი «ივერია»: «მეკვად კარგი რამ არის ეს პირველი
წიგნი თვალისათვის. არც გული და არც ჭკუა არის დავიწვებული, ერთისაგ და მეორისთვისაგ. საჩუღია
საკმაო შიგ».

ჟურნალის სახელწოდება იაკობ გოგებაშვილის ეკუთვნის, ხოლო ეპიგრაფად «ჯეჯილს» წამდვარებული
პეტნდა იოსებ დავითაშვილის ლექსის სტრიქონები: «იზარღე, მწუანე ჯეჯილი, დაბურდი, გახდი ვანაო».
ქართული ჯეჯილის დაბურების — ქართველი ბავშვების მამულიშვილებად ჩამოყალიბების უზუნაგ მისანს
ემსახურებოდნენ «ჯეჯილში» მოღვაწე საუკეთესო მწერლები და საზოგადო საქმის თავდადებული მოამა-
გენი ილია, აკაკი, ვეა, შოთ მღვიმელი, იაკობ გოგებაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, რაფიელ ერისთავი,
თედო რაზიკაშვილი და სხვანი...

1897 წელს, როცა ეკონომბორი გახაჭირის გამო «ჯეჯილის» არსებობას საფრთხე დამუქრა, თედო
რაზიკაშვილი სწერდა მის რედაქტორს: «გამოცემის შეჩერება არ გააგონით ჩემს ყურებს. ნუ უღალატებთ
მგ წმინდა საქმეს, თქვენი საზრუნავი თბოლი «ჯეჯილია», გაუწიეთ დედობა, გამოთვიზარდეთ ჩვენი
თაობისათვის!»

«ჯეჯილი» ცდილობდა ესწავლებინა პატარებისათვის დედა ენა, ჩვენებრა «დედ-მამის, და-ძმის და სამ-
შობლის სიყვარული», შევევარებინა კითხვა, რათა მათ უსაქციელო დროს გატარების მავიერად «ჯეჯი-
ლიდან» კარგი ამბების ამოკითხვით ჭკუა ესწავლით...

«ჯეჯილის» ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა საჩუქრის მიღების კითხვა — შიშ იყო სა-
მართველო უღიდაულის ბავშვ-ძალი? რითი იყო ის ღიდაუალი? ამ კითხვაზე ბავშვებს უნდა
გაეცხავნათ პასუხები. უნც საუკეთესო პასუხს წარუდგენდა რედაქციას, აფერდა წამლებით დახატულ-
თამარ მეფის პორტრეტს მიიღებდა საჩუქრად. და აი, გამარჯვებულო პასუხიც:

საქართველოს მეფე ქალი

დოლო ვივვივაჰა

საქართველოს უდიდებულესი მეფე-ქალი იყო თამარი. თამარის დიდს სიამოვნებას შეადგენდა ღარიბთა, გლახაკთა შემწეობა, მაგრამ მოწყალებას იგი ხაზინიდან კი არ აძლევდა. მან იცოდა მშვენიერი ხელ-საქმე, ოქრომკერი და როგორც-კი მოიცლიდა სახელმწიფო საქმეებისაგან, მაშინვე ხელ-საქმეს მიჰყოფდა ხელს. მისი ნაკერავი და ნაქსოვი ძვირფასათ იყიდებოდა და აი ამ ფულით იგი შემწეობას აძლევდა ღარიბ-ღატაკთ. ის იყო ფრიად გულ-შემატკივარი და ძლიერ უყვარდა ქვეყნდომეები. შესანიშნავი იყო კიდევ მით, რომ უწინ სხვა მეფეების დროს დამნაშავეებს სჭრიდენ ხელებს, ფეხებს, თხრიდენ თვალებს და სხვა; თამარმა კი ყველა ესენი სრულიად მოსპო. გარდა ამისა თამარმა საქართველოს სამეფო ისე გაამაგრა, რომ ყველა საზღვრები უშიშარი გახადა. ამას გარდა საქართველოს ერთი კუთხე არ იყო, რომ საგსე არ ყოფილიყოს მცხოვრებლებით. შესანიშნავი იყო მითაც, რომ სახაზინო ფულის ხარჯვაშიაც დიდ ხელმოჭვირლობას იწინდა. მდიდრულ საჭმელს მაშინ აკეთებდა, როდესაც გარეშე ქვეყნების სტუმრები ეწვეოდნენ ხოლმე. ამისთანავე თამარი დიდ ყურადღებას აქცევდა მეურნეობის და სწავლა-განათლების გავრცელებას, მწერლობის და მწიგნობრობის გაძლიერებას. თამარის დროს ჰყვაროდა სარწმუნოება და მეურნეობა. ყოველ ბედნიერ ლაშქრობის შემდეგ იგი აშენებდა დიდებულ ტაძრებს. თამარი ბევრ სიმდიდრეს სწირავდა სხვა, უცხო ქვეყნების ეკლესიებსაც. ამისთანა დედობრივი ზრუნვისათვის ქართველებმა უწოდეს მას «დიდებული» ყოველთა ქართველთა მეფეთა შორის. არც ერთი მეფე ქართველ ერს არ ახსოვს ისე, როგორც თამარი.



მხატვარი თამაზ ხუციშვილი

აქ. სსრ კ. მირქიანს
სახ. სახ. რესპუბ.
ზიგლიოთიქა

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ... მაგრამ არა! დრო კი არ გასულა, ჩვენ გავიზარდეთ და გავძლიერდით ერთი წლით... დრო საერთოდ არ მიდის, იგი ერთიანია, მთლიანი და მარადიული, როგორც სასუარო — კოსმოსი, მზე, ვარსკვლავები...

მიდიან მხოლოდ ადამიანები... მიდიან და თავ-თავისი გზით ერწყმიან მარადიულ დროს, თავ-თავის კვალს ტოვებენ ამ ქვეყნად...

ზოგის კვალი უჩინარია, ზოგის — მკაფიო და საშვილიშვილოდ ხილული...

და რა ბედნიერებაა, საკუთარი კვალი დატოვო, გამოაღვე შენს ქვეყანას

ან სიცოცხლით,

ან სიკვდილით...

წმინდა სისხლით მორწყული გზით წავიდნენ ჩვენგან შარშანში აპრილს დაღუპულები... და წმინდა, ნათელი კვალი დატოვეს... სიკვდილით სწორად სიცოცხლის გზა გააანათეს...

სიცოცხლით რომ გამოაღვე სამშობლოს, ბევრი უნდა იცოდე, უნდა შეგეძლოს

თავდაუზოგავად შრომობდე,

მტკიცეს აშენებდე,

უზადოს ქმნიდე,

ძლიერსა ზრდიდე...

უნდა სიკეთეს თესავდე,

სიყვარულს ხარჭავდე...

და ღმერთს მადლობას სწირავდე, რომ

სიყვარულის ნიჭი მოგმადლა,

თავგანწირვის ძალა მოგცა,

სიძნელეთა დაძლევის ღონით აგავსო...

გზა მშვიდობისა!

როგორ მინდა, სიცოცხლით, შენი ღირსეული სიცოცხლით გამოაღვე ქვეყანას!

გაეუკან უიქრი

სირა ჰიტიაშვილი

ეს რა სიმიდრე,
ეს რა სიდიდე
შემმატა სოფლის ციხემ ბებურმა,
გადანგრეულმა ძველმა ქონგურმა,
ატირებულმა წვიმით კედელმა.

ღრუბლებთან, სადაც
გორის წვერია,
ერთ მოსრდილ ლოდზე
ასე წერია:

შეაგდა ბატონი
დიდზე დიდო,
ჯაფით ვიცხოვრე,
ქვას ვთლიდიო,
ხელს მიქებდნენო,
გარჯას, სიმარდეს,
ციხე ავაგე,

კაცად ვივარგე.
მტრის სისხლში ხმალიც გამიფერია...

მერქვა მ ა მ უ კ ა , —

ასე წერია.

მეც მაშუკა ვარ,

ხეში ჯურია.

ჩვენისთანები განა ბევრია?

ამ ლამაზ მაშულს

სხვას რად მივანდობ!

სენიანსავით უნდა ვივარგო.

უნდა ვიბრძოლო, უნდა ვაშენო.

საქმე მეც უნდა მქონდეს სახემო,

დედასამშობლო მეც დავამშვენო...

დღეს რა სიმიდრე,

დღეს რა სიდიდე

შემმატა ბებურ ციხის კედელმა?

რა იცის დეღამ,

რა იცის მამამ,

რა იცის ნუცა მასწავლებელმა!



მეორე მხარე

ილია ჰავჭავაძის
მკვლელთა. აკაკის
ბამონათხოვარი სიტყვა:
აკაკის იუბილე.

ერთელ გვიან დამით
შინ მიმავალ აკაკის მოსაკ-
ლავად თავს დაესხმიან. ამა-
ზე ილია ჰავჭავაძე იტყვის:
„არ ვიცი, კერძოდ, რა შემ-
თხვევის გამო ვერ აღასრუ-
ლეს ავაზაკური განაჩენი იმ
საცოდვეებმა — საცოდავია
ის კაცი, აკაკიზე რომ ხელს
აღმართავს — აბა, სხვა რა
ვუწოდოთ იმას, ვინც ქართ-
ველი ხალხის მესხიერება-
ში დარწმუნდა, როგორც
აკაკის მკვლელი“...

და აი, რამდენიმე ხნის
შემდეგ, 1907 წლის 30 აგ-
ვისტოს, ილიაზე აღმართა-
ვენ ხელს ის საცოდვეები...
ილიას სიკვდილი მიუღ სა-
ქართველოს ფეხზე დააყუ-
ნებს.

აკაკი ლექსით გამოეხ-
მაურება ამ ამბავს:

ნუ მიწამღვთ მოხუც გრძობას
და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!..
ნუთუ მართლა დღეს გაღაწყდა
საქართველოს ბედისწერა?

9 სექტემბერს ილიას
დაკრძალვაა. სიონიდან წა-
მოსული პროცესია დღევან-
დელი რუსთაველის პროს-
პექტზე სასტუმრო „კავკაზ-
თან“ შენერდება; ავადყოფ
აკაკის — თავშიშველს, თმა-
გაწყვილს აიფანზე გამოიყუ-
ვანენ... ხალხი გაინაბება
და უსმენს:

„მშვიდობით ძმავ! თუ
საქართველოს სიკვდილი არ
უწერია, მშინ იმასთან ერ-

თად შენც უკვდავი იქნები,
და თუ სასიკვდილოა, რო-
გორც ზოგიერთებს სურთ
და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი
შენ, რომ მაც შენის სიკვდი-
ლით წინა-უსწარ მის სიკვ-
დილს და თვალთ ვეღარა
ნახავ! როგორც სიცოცხლე,
ისე სიკვდილიც შენი გახ-
და მიზეზად ხალხის ამომ-
რავებისა და, ვინ იცის, ვე-
ბა სიკვდილით მაინც გა-
ნამტყიცო ის, რასაც შენი
სიცოცხლე შესწირე!“

1908 წლის შემოდგო-
მაზე იწყება სამხადისი აკა-
კის საიუბილეოდ. ახალგა-
ზრდა აკაკი შანიძის თქმით,
ეს დღესასწაული საღბუ-
ნად დაელება დიდ ეროვნულ
ტკივილს, რადგან აკაკის
დროშა იგივე ილიას დრო-
შაა...

1908 წლის 7 დეკემბერი.

აკაკი ლახდომი ჯდება, რო-
მელშიც თეთრი ბეღაურე-
ვი არიან შებმული; შავი
ტანისამოსი აცვია და თეთ-
რი თმა-წვერი თოვლივით
უქათქათებს... სიონის ტა-
ძარში, სადაც პარაკლისი
უნდა გადაიხადონ, ხალხის
ტყვა არ არის. სიონიდან
სახაზინო თეატრამდე პოეტს
ყველანი ქუდმოხდილნი
ყვებებიან.

სახეიშო დღესასწაული
12 საათზე იწყება. ფარდა
აიხდება და სცენაზე აკაკი
გამოჩნდება. ხალხი „გაუ-
მარჯოს საქართველოს!“ ძა-
ხილით წამოიშლება, აკაკის
ამაღლებულ ადგილზე და-
დგმულ სავარძელში ჩასვა-
მენ. გუნდი მღერის ზაქარია
ფალიაშვილის მიერ სვან-
გებოდ ამ დღისათვის დაწე-
რილ „მრავალმხიერს“, შე-





და სარკე“, „მელა და ჯორ-
ტენი“, „დათვის ხეობის ხეობა“?

წლების განმავლობა-
ში იბეჭდებოდა აკაკის
ლექსები საყმაწვილო ჟურ-
ნალებში „ნობათში“, „ნაკა-
დულში“, „ჯეჯილში“... ამ
ლექსებზე თაობებია აღზრ-
დილი.

თუ მოხდა და ლიტერა-
ტურულ სადამოხე ან ოჯახ-
ში სტუმრად მყოფ აკაკის
რომელიმე თავისი ლექსი
დაავიწყდება, ბავშვები სი-
ცილ-ეისეისით კარნახო-
ბენ.

ნიკო ლორთქიფანიძე
ფონებს ქუთაისში, დავით
მიქელაძის (მველეს) ოჯახ-
ში გატარებულ ერთ საღა-
მოს. თურმე იმ ხანებში აკა-
კიმ მასპინძლის ვაჟს, პატარა
ივერიკოს უძღვნა ლექსი
„ჭრელი პეპელა დაათრო და
გააბრუა იამა“. ბავშვები,
მათ შორის, პატარა ნიკო
ლორთქიფანიძეც მოწიწყო-
ბით და ცნობისმოყვარეო-
ბით შეპყრებენ ოჯახში
სტუმრად მყოფ მამია გუ-
რიელს, ალექსანდრე ყაზ-
ბეგს და აკაკის. კეთილი აკა-
კი ტკბილი საუბრით ათა-
მაშებს ბავშვებს. როცა ერ-
თი ბავშვი აკაკის წაუკით-
ხავს დიმიტრი ყიფიანის
სადმი მიძღვნილ მის ლექსს

**არითმამიკალი
გამოცანა**

ათ თუნგაანი ჭურჭელი ღვი-
ნით სახეე ვეაქეს. როჭორ შოა-
ხერხებთ, რომ ეს ღვინო თანა-
წორად გააყოთ შუაზე, თუ გასა-
ყოფად მხოლოდ შვიდთუნგაანი
და სამთუნგაანი ჭურჭელი
გაქვთ?

„ჯაჯილი“

სავალ სიტყვას იაკობ გო-
გებაშვილი იტყვის, ზეიშხე
ლექსს წაკითხავს ფშაგი-
დან ჩამოსული ვაჟა, სვანე-
ლები აკაკის იმ აკვანს მიარ-
თმევენ, რომელშიც იგი
იზრდებოდა. ზეიში აკაკის
სიტყვით დამთავრდება: „მე
ჩემი თავი ყოველთვის მი-
მანხნდა პატარა დღიურ მუ-
შად, ძალიან მცირედ, ასე
რომ, თუ ჩემ შრომას ვინმე
ყურადღებებს მიაქცევდა, არ
მეგონა, მაგრამ ახლა ვხე-
დავ, რომ შემცდარი ვყო-
ფილვარ და დღეს ჩემი შრო-
მა ერთიათად ფასდება. რას
მივაწეროთ ეს? იმას, რომ
ხალხში აღძრულა ეროვნუ-
ლი გრძნობა, რომ მას ჰყავ-
დეს ნამდვილი მოღვაწე და
გმირი, რისაც მე მხოლოდ
მოჩვენებულათა ვარ. ამ
დაიად გრძნობას შეეუერთებ
ჩემს ნატვრასაც, რომ მოვ-
ლინებულებიყოს ის სანატ-
რელი გმირი...“

იუბილეს დღეებში აკა-
კის ხმას გრამოფონის ფირ-
ფიტაზე ჩაიწერენ. აკაკი
„განთიადს“ კითხულობს.

საპი და ბავშვები.

აკაკის ერთ ლექსში ნათ-
ქვამი აქვს:
მიყვარს საერთოდ ბავშვები,
ანგელოზთ დანადარები,
მათთვის ყოველთვის, ყოველგან
ღია მაქვს გულის კარები.
მათი ტიტყვის ჭირიმე,
მათი უმანკო ზრახვისა!
არ მოპირვდება ურს სმენა
და თვალს სურვილი ნახვისა.

რომელმაც ქართველმა
ბავშვმა არ იცის აკაკის „უმა-
წვილი და პეპელა“, „ვასლი
და შაქარა“ ან „სოფლური“
(პაუ, პაუ, ქორო, ნუ ფრენ
ამ ეზოში დიღ-დიღასა!),
ან მის მიერ გადმოქართუ-
ლებული, რუსი მეიგავის
იგანე კრილოვის იგავ-არა-
კები „ყვავი და მელა“, „მე-
ლი და კრავი“, „ჭრიჭინა
და ჭიანჭველა“, „მიამუნი



ნებო, დამენახვეფო...
 შუგებმა ოთახში მსჯელობდა
 ნეთ, აკაკი მოგვესიყვარუ-
 ლა, დაგვეცნა, ხელში სა-
 ნუქრები ჩავგიდო, მე — პა-
 ტარა ვერცხლის ხანჯალი
 და ვერცხლის საფულე, ჩემს
 ძმას კი ხანჯალი და საწერ-
 კალამით.

თვითონ აკაკი იხსენებს
 ბავშვებთან დაკავშირებულ
 ორ შემთხვევას, რომლებ-
 მაც სიცოცხლის სიმწარე
 გამოიქარვეს და ნეტარი წა-
 მები განმაცდვეინესო.

ერთხელ აკაკი ქუჩაში
 დაინახავს გამძელთან ერ-
 თად მომავალ ახლადფეხად-
 გმულ ბავშვს. ბავშვი შეს-
 ცინებს, თითო გაბზეკს
 და იტყვის: „უი, აკაკი!“
 აკაკი გაშტერდება. გამძელი
 ეტყვის, ამის მოშობლებს
 თქვენი სურვილით უკიდიათ
 ოთახში და ბავშვმა იმ სუ-
 რათით გიცნოთო. „სახო-
 ვალოების თანავარძობას
 უწვეულო არა ვარ, ვინ მოთ-
 ვლის, რამდენი ტაში მომის-
 მენია, რამდენი ვაშა გამი-
 გონია? მაგრამ არც ერთხელ
 ის არ მიგრძენია, რაც იმ
 პატარა ბავშვის თითმა და
 ნატიტონებმა მაგრძობი-
 ნაო“, — ამბობს აკაკი.

ერთხელ კიდევ ასეთი
 რამ მოხდება. აკაკი უშალ-
 ტოოდ გავა გარეთ. უეცრად
 წვიმა დაუშუებს. ამ დროს
 თორმეტ-ცამეტი წლის გო-
 გონა ქოლგას შესთავაზებს.

— შერე თქვენ? — შეე-
 კითხება აკაკი.
 მე არა მიჭირს რა, რომ
 დაუსვლდე; თქვენ კი, ვაი
 თუ გაცვიფდეთო.

1904 წელს, აკაკი ავად
 რომ გახდება და დამბლა

„ქართველი უცხოეთში“,
 აკაკის სახე გაუბრწყინდება
 და სიხარულით იტყვის:
 „შეხე, ამათაც იცინაო“.

საჩხერის მკვიდრი კვა-
 ტრინე წერეთელი იგონებს:
 ერთხელ აკაკი დამით ჩვენ-
 თან დარჩა. მის ოთახში ჩე-
 მი ბიჭი შეპარულიყო. აკა-
 კიმ მიუაღერსა და ერთი
 ნაჭერი ხაჭაპური მისცა.
 ოთახიდან რომ გამოვიდა,
 ახლა მეორე ძმა შეიყვანა;
 აკაკიმ თავზე ხელი გადაუს-
 ვა და იმასაც მისცა ხაჭა-

პური. ცოტა ხნის შემდეგ
 ამ ჩემმა ბიჭმა მესამე ძმა
 შეიყვანა. აკაკიმ სამივე ძმა
 ერთად მიიხუტა, თან იცი-
 ნოდა...

ნინო ელიაშვილის მო-
 გონებაა ასეთი: ერთხელ
 დილით გავიგეთ, რომ ჩვენ-
 თან აკაკი ჩამოსულიყო და
 სასტუმრო ოთახში ეძინა.
 მე და ჩემს ძმას მოთმინება
 აღარ გვეოფნიდა და სას-
 ტუმრო ოთახში შევიჭყი-
 ტეთ. აკაკიმ გამოგვძახა:
 „აბა, შემოდით, თქვე კული-



დაეცემა, საბავშვო ჟურნალ „ნაკადულში“ პატარა მკითხველების წერილი დაიბეჭდება:

„ჩვენ გახეთი მოგვლის. დედამ წაიკითხა, ძალიან შეწუხდა და გვითხრა: იცით შეილებო, ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი ძალიან ავად არისო. ამ ამბავმა მეტად დაგვადონა... სათამაშოების საყიდლად მამამ იმ დღეს ხუთი მანეთი გვაჩუქა. ჩვენ არ გვინდა სათამაშოები: ეს ფული აგერ ვაახელით, პატარა „ნაკადულო“, ჩვენს საყვარელ აკაკის, „შერცხალი“ და „გაზაფხული“ რომ დაწერა, გთხოვთ, ამ ფულით თაიგული მიართვათ“.

1913 წელს აკაკი მომავალ თაობებს გრამოფონის ფირფიტაზე ჩაწერილი სიტყვით მიესალმება:

— გამარჯობა თქვენ, ახლად მომავალნი! მე, უკვე მიმავალი, გეტხოვებთ და

ვსწუხვარ, რომ საგულისხმო ანდერძად ვერას გიტოვებთ, გარდა მარტო ხვეწნავედ რებისა: გიყვარდეთ თქვენი სამშობლო, თქვენი ვრი!

იუბილე ქუთაისში

აკაკის იუბილე ქუთაისში გადაინაცვლებს და კვირის თავზე, 14 დეკემბერს, ქალაქის თეატრში გაიმართება.

ის ქუჩები, რომლითაც იუბილარი უნდა გაატარონ, დილიდანვე ხალხით გაიჭედება. საგანგებოდ მორთული ეტლით აკაკის სობოროსაკენ წაიყვანენ. გიმნაზიელები თეთრ ხიდთან ეტლს გააჩერებენ, ცხენებს გამოხსნიან და თვითონ შეებმებიან. თეატრამდე ასე მიიყვანენ აკაკის.

იუბილეს დავით კლდიაშვილი გახსნის. იგი წინასწარმეტყველებს დროს, რო-

ცა კაცობრიობა შეერთდება მოსიყვარულე ქვეყნებში შირში და ქართველი ერიც შეუერთდება სხვებს, არა როგორც ფეხშიშველი, თავზე ლეჩაქმობილი მონა, არამედ როგორც თავისუფალი, გაბრწყინებული, პირნათელი, მომქეთადმი სიყვარულით აღვსილი. „იმ ბედნიერ ჟამს ქართველობა მიიტანს იქ, იმ შეერთებაში, შენს წმინდა სახელს, შენს წმინდა ხატებას...“

აკაკის იუბილე ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცევა და საქართველოში ყველგან იდღესასწაულებენ ამ დღეს.

პიტიუხისი

ეპიტეზისი ბერძნული სიტყვაა და პნიშნავს, რომ სიტყვაში უნდა გამოკლებული ახლები ჩაისვას.

კ-ც- ბჰ-ბღ, ღმ-რთ- ი-ნ-დ-„ჯეჯილი“.

დაბვიტ ბორჯი

დავით ბორჯი

გადმოლახეს ლურჯი სღვები, მთები შენავერცხლები, დაგვიბრუნდნენ, დაგვიბრუნდნენ მოკალტრულე მერცხლები. ბანსე უხედავ ნაცნობ მერცხალს, მოფრინდა, მოაღწია, უსამშობლოდ ვედარ გაძლო ჩიტის გულმა ჰაწიამ!...



მატყარი ბორჯი რომინოვილი

ნობათი

აიძინა მინდაჲა

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ნამდვილ ამბავს მოგახსენებთ,
კუშინ რა მომივიდა:
მეზობელი ზღანეტიდან
იქნებ, უფრო შორიდან,
ჩემი სახლის მისამართით,
ჩემს სახელზე მომართვით,
ჩემს ეზოში ჩამოფრინდა
საბავრო ხომალდი.
წამოვარდა მურა-ლეკვი
შეჭეუვა და შეცბა:
გადმოვიდა ორი ბიჭი —
სკაფანდრები ეცვათ.
წელს ეოფილა დედამიწა
იმათ ქსელში ჩართული —



მე იმათი არ მესმოდა,
იმათ ჩემი ქართული.
შეშეკითხნენ — ვერ გავიგე.
შეშეკითხე — დამუნჯდნენ.
სხვა ზღანეტის ენის ცოდნა
არის დიდი საუნჯე.
ორმა ბიჭმა გაფრენის წინ
დამიქნია აღბაძი.
მეც ეოხალად ვუზახუნე
ჩვენებური საღამით.
ორმა ბიჭმა გაფრენის წინ
დამიტოვა ნობათი.
მერე ცაში ასრიალდა
საბავრო ხომალდი.
ასრიალდა ისე სწრაფად,
ვერც მოვასწარ მოხედვად...
— აჰ, ნობათი? — გაიტაცა
ჩურა-ლეკვმა, ოხერმა.

მხატვარი ვაჟა ქურხული

რევაზ ჯინუატი

(პირველი საუბარი)

ბავშვებო! რამდენი რამ არის ბუნებაში, რაც თვალს გტაცებთ სილამაზით და პარმონიულობით, და ამჟღად დროს გაოცებთ. აი, ვთქვათ ცისარტყელა: განა არ დაგბადებიათ კითხვა, როგორ არის მასში ასე წარმტაცად შეხამებული შვიდი ფერი, ან რატომ არის, რომ იგი წვიმის შემდეგ ჩნდება? ალბათ, გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ჭექა-ქუხილი წინ უსწრებს ელვას, რადგან თქვენ ყოველთვის ჯერ ელვა დაგინახავთ და მხოლოდ შემდეგ გაგიგონიათ ჭექა-ქუხილი. როცა დამით ვარსკვლავებით მოქედილი ცის სილამაზე გახარებთ, დარწმუნებული ვარ, გიკვირთ კიდევ, თუ რატომ არ ეცემა ვარსკვლავები დედამიწაზე; ისიც უსათუოდ გაკვირვებთ, როგორ ხდება, რომ ტელევიზორით კოსმოსურ ხომალდში მყოფ კოსმონავტს ხედავთ და მისი ხმა გესმით.

ეს ძალიან კარგია, რადგან თქვენს შაბიბულურ აზროვნებაზე მეტყველებს. თქვენ საგანთა და მოვ-

ლუნათა არა მარტო ესთეტიკური თბაოე ი- სებათ, არამედ ისიც, თუ მაინც რა არის ბუნებაში არსებული პარმონიის საფუძველი?

ეს გახლავთ ფიზიკის კანონები, რომელთა აღმონენას გენიალურ მეცნიერებს უნდა ვუძალოდეთ. მათი წყალობით დღეს უკვე გაცემულია პასუხი უამრავ კითხვაზე — როგორ და რატომ?

ჩვენი საუბრები გვინდა დავიწყოთ მსოფლიო მიზიდულობის კანონით, რომლის ბუნებაში არსებობა იწვევს ვარსკვლავების მოძრაობას, საგანთა და ცოცხალ ორგანიზმთა გადაადგილებას დედამიწაზე და სხვა. დედამიწა მიიზიდავს ხიდან ჩამოვარდნილ ვაშლს... კოსმოსურ ხომალდში მყოფი კოსმონავტი თავისუფლად „დაცურავს“ თავის კაბინაში მაშინ, როცა თქვენ ნაბიჯებით დადიხართ თქვენს ოთახში...

ჯერ კიდევ ძალიან დიდი ხნის წინათ ხვდებოდნენ ადამიანები, რომ ვარსკვლავები დედამიწასთან



შატავარი მანანა შორაილაძე

ერთად შვის გარშემო მოძრაობენ. მაგრამ მეცნიერულად ამან პირველად პოლონელი კოპერნიკი დაინტერესა. მან ამოცანად დაისახა, დაედგინა ჯერ ერთი ის, მოძრაობდა თუ არა ჯვლედი ციური სხეული წრეზე, რომლის ცენტრშიც მზეა, და მეორეც, — როგორი იყო მათი მოძრაობის სისწრაფე. ამოცანა კოპერნიკმა ვერ გადაწყვიტა, რადგან იმ დროისათვის ჯერ არ იყო ბუნებაზე დაკვირვების შედეგად შეგროვილი უტყუარი ფაქტობრივი მონაცემები. ნამდვილი მეცნიერული კვლევა დაიწყო მხოლოდ მე-16 საუკუნის ბოლოს, როცა დანიელმა ასტრონომმა ტიხო ბრაჰემ მოიფიქრა, რომ საჭირო იყო დაკვირვება ცაზე ვარსკვლავთა გამოჩენაზე და ამ დაკვირვებათა შედეგების გამოყენება. სწორედ ტიხო ბრაჰეს მიერ შეგროვილი ფაქტების საფუძველზე გერმანელმა ასტრონომმა და მათემატიკოსმა კეპლერმა დაადგინა შვის ირგვლივ ციური სხეულების მოძრაობის კანონები. ამ კანონებიდან უპირველესია ის, რომ ციური სხეულები შვის გარშემო მოძრაობენ არა წრეზე, არამედ ელიფსზე, რომლის ერთ-ერთ ფოკუსშიც მზეა (ელიფსი არის გაჭიმული წრე, რომელსაც ორი ფოკუსი აქვს.) კეპლერმა დაადგინა ისიც, რომ მზესთან დაახლოებისას ციური სხეულები უფრო სწრაფად ბრუნავენ ელიფსზე. მაგრამ მინც გაუგებარი იყო, თუ რა ამოძრავენ ციურ სხეულებს შვის გარშემო. კეპლერის დროს ზოგნი ფიქრობდნენ, რომ ყოველი ციური სხეულის უკან ანგულისები სხედან, ფრთებს აქნევენ და ასე უბიძგებენ ვარსკვლავებს ორბიტებზე (ორბიტა ის წირია, რომელსაც შემოწერს სხეული მოძრაობისას). სწორი პასუხის მისაღებად მეცნიერებს დიდი შრომა მოუხდათ. იტალიელმა გალილეო გალილემ დაადგინა ე.წ. ინერციის კანონი — თუ სწორი ხაზის გასწვრივ მოძრაე სხეულზე არაფერი არ მოქმედებს, იგი მუდამ შეინარჩუნებს ამ მოძრაობას. გენიალურმა ინგლისელმა ფიზიკოსმა ნიუტონმა კი დაასკნა, რომ რაკი ციური სხეულები არ მოძრაობენ სწორი ხაზის გასწვრივ, მათ მზე იზიდავს გარკვეული ძალით. სწორედ ეს ძალაა მ ს ო ფ - ლ ი თ ი ს ი ზ ო ლ ო ბ ი ს ძ ა ლ ა — ვარსკვლავი ინერციის გამო „ცდილობს“ სწორ ხაზზე იმძრაოს, მაგრამ ამ დროს მასზე მზე მოქმედებს მიზიდულობის ძალით. მსოფლიო მიზიდულობის ძალა მოქმედებს არა მარტო ციურ, არამედ ნებისმიერ სხეულზე, იგი განაპირობებს ვაშლის ვარდნასაც ხიდან მიწაზე და კოსმონავტების უწონად მდგომარეობასაც, როცა ისინი თავისუფლად „დაცურავენ“ კოსმოსურ ხომალდში.

რას მო?

ლია კობალაძე

ძალი ეყვს და კატა კნავის,
ცხენს ჭინვინი უეკარს,
ბროლის ცვარი შვენის ევაკილს,
ცეცხლის ალი — ბუნარს.
ჭიკჭიკი, ჭიკჭიკი, მღერის ჩიტი,
ჭაღლუას ნატრობს,
განაფხულზე სკვება კვირტი,
რატომ?
რატომ?
რატომ?
მოვარდისფროდ ათოვს ატამს,
ტყემაღს თეთრად ათოვს,
კეკინები ხატავს ნატას
და ქონჯორი — ავთოს.
ქარი ფოთლებს აფარფატებს,
მზე თაკარას ანთებს,
უბურბურებს ზეცა ფანტელს
ამ მინდვრებს და ამ მთებს.
ცისარტყელა შეიდგორად ბრწყინავს,
აუღვარებს ტატნობს,
რად შეჰხარის თესლი წვიმას,
რატომ?
რატომ?
რატომ?



მატყარი ბიორგი რინინივილი



რამდენაირია კომბაინი

ყველას გაგიგონიათ კომბაინი. მაგრამ განა ყველამ იცის, რამდენაირი კომბაინია ქვეყნად?

იცით, მაგალითად, რომ არსებობს მიწისქვეშეთში მომუშავე კომბაინი? წინააღმდეგობა ბორბლებზე მას კბილები აქვს, დიდი და ბასრი კბილები. ბორბლები ღონიერად ბრუნავენ, კბილები ქვანახშირს ანგრევენ, მონგრეული ცვივა ტრანსპორტიორზე — თვითმავალ ბილიკზე, და ერთი კომბაინი 25 მუშახელზე მეტ საქმეს აკეთებს დღეში.

არის კიდევ ერთი უცნაური კომბაინი. ის სელს, ტილო რომ იქსოვება, იმ მცენარეს იღებს (მკის). სელი მალაია, სწორი, ფოთლოვანი. მალა სათესლე კოლოფები აქვს. კომბაინი ჩაეჭიდება სელს, ამოიღებს მიწიდან, გააცლის ფოთლებს, თესლებს, შეკონავეს ლამაზად და იმ კონებს ავტომატურად წაიღებენ ფაბრიკებში. ფაბრიკაში სელისაგან უშვებენიერეს მატერიას — ტილოს ქსოვენ. ტილოზე ძალიან დიდი მოთხოვნილებაა მთელ მსოფლიოში.

შაქრის ქარხლის ამომღები კომბაინი? მიღის ეს კომბაინი ქარხლის რიგებს შორის, წასწვდება ქირნახულს რკინის ხელით, ამოგლეჯს, წააჭრის მწვანე ფოხს, დაბერტყავს, მიწას გააყრევიანებს და ასე გადაუშვებს ძარაში.

დიდად გამრჩე კომბაინად ითვლება

კარტოფილის ახოლეიცი. ის ტრაქტორს სიძვეება, ტრაქტორი კარტოფელს მიწიდან ყრის, კომბაინი ბლოკავს, ასუფთავებს და უკან გაწვდილი ხორთუმით ავტომატურად ძარაში ყრის.

მეტად ქვეიანი მანქანაა სიმინდის კომბაინი. ის სიმინდს ძირში ჰყრის; გამოარჩევს, გაასუფთავებს ტაროს, ტარობს უკან ჩაუშვებს თავის ძარაში, სიმინდის ღეროს კი წვირილად ჩაკუწავს. ჩაკუწული ღეროსაგან სილოსს ამზადებენ. სილოსი ძვირფასი საკვებია ცხოველებისათვის.

არის ბამბის ამღები კომბაინიც, სხვებიც...

ბოლოსათვის კი შემოვიხატო ჩვენთვის ყველაზე ახლობელი, პურეულის ამღები კომბაინი. ო, რა ზვიადად მიღის ხოლმე ეს კომბაინი ყანის გვერდით, როგორი სიფაქიზით ჰყრის ყანას ძირში, ღეწავს, ანიავებს, ხორბალს ცალკე ყრის გვერდით მიმყოფ მანქანაში, ნამჯას — ცალკე. რაც ეს კომბაინი გამოჩნდა ქვეყნად, წელში გასწორდა გლეხი — კაციც და ქალიც. უმძიმესი საქმე იყო ყანის მკა, შინ მიზიდვა, კალოობა — ლეწვა, განიავება. დღეს კომბაინი ყოველივე ამას ძალიან იოლად აკეთებს.



საქ. სსრ კ. მარკსის სახ. სსხ. რესპუბ.



ბლეს პასკალი

თამაზ აბაშიძე

გენიალურმა ფრანგმა სწავლულმა ბლეს პასკალმა სულ 39 წელი იცოცხლა, მაგრამ მათემატიკოსის, მექანიკოსის, ფიზიკოსის, ფილოსოფოსის უკვდავი სახელი დატოვა.

ბლესის მამა ფართოდ განათლებული კაცი ყოფილა — სცოდნია უცხო ენები, ლიტერატურა, ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა.

ის თურმე ფრთხილად ეკიდებოდა შვილის აღზრდა-განათლებას, რადგან ბლესი ფიზიკურად ერთობ სუსტი ბიჭუნა იყო და, არ გადაიტვირთოს; განსაკუთრებით თურმე მათემატიკას არიდებდა. ეგ კი არა, მათემატიკური წიგნები სულ გადაუშალა. ბლესის მუდარას, — „მეც მასწავლე მათემატიკაო, — იგი ასე პასუხობდა: ჭერ კლასიკური ენები (ბერძნული და ლათინური) ისწავლე და მათემატიკის ჭერიც დადგებო; მაშინ ბიჭს უთხოვია. ის მაინც მითხარი, როგორი საგანია, რას შეინსწავლისო. მამას რამდენიმე ზოგადი ცნობა მიუწვდია.

ხანი გამოხდა და ერთ მშვენიერ დღეს ბავშვის ოთახში შესულმა მამამ იგი იატაკზე მოკალათებული და „სათამაშო“ გეომეტრიულ ფიგურებში ჩაიკრიკიტებული დაინახა. თორმეტიოდე წლის ბლესს დამოუკიდებლად მოესწრო

„საკუთარი“ გეომეტრიის შექმნა და მამის „შემოსწრებისას“ იმის დამტკიცებას ლამობდა, რომ სასკოლში იგივე კუთხეების ჯამი უნდა იყოს, როგორც კუთხის ტოლია...

აქედან მოყოლებული, ბლესი მათემატიკაშიც მეცადინეობდა მამასთან, მალე მასთან ერთად დაიწყო სწავლულთა შეკრებებზე სიარული და მოხსენებებით გამოხსვლა (ხსენებული წრის ბაზაზე აღმოცენდა შემდგომ პარიზის მეცნიერებათა აკადემია). 16 წლის ბლესს პასკალმა გამოაქვეყნა პირველი მეცნიერული შრომა, სადაც მთელი გეომეტრიის ერთ-ერთი უღამაზენი თეორემა დამტკიცებული...



მხატვარი ელზარ აბოკაძე



მეის გეგმები

მოთა სოფლები

სხალთას იხდენენ საარაკოდ (სად ზღაპარი, სად არაკი?) სასარგებლო ფრინველები სავით და სარსარაკი — სასწაულად სოცარბი, აღარ უნდა ღაპარაკი. საშუაერ სამი გამორეკეს სავით და სარსარაკი.



ლინა სოფარია

ქუთაისში, უფროსი დედადამი მიწვევით, მისი სახლი დიდებულნი, მისი სახე გეგმავთა, არა ახლან უმცროსი, არა ახლან უფროსი.

მიხილ სარბონაშვილი

არც ჭამას და არც უნაგირს ის არ ითხოვს არვისაგან. დღის დაჭერ, გაგაჭენებს, რა ცხენია ამითანა?!



სამარტეველს ალკკ მკ-ისა და ვ. ი. ლენინის სხმელოვის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს შუნ-ნალი უმცროსკლასმეობის.

გამოდის 1904 წლიდან. საქ. კე ცე-ის გამოცემლობა.

მოავარი რედაქტორი რეკავს ინანოშვილი

სარედაქციო კოლეგია: შუნარდ ამო-კაში, მანანა ანთაში, ლაგარა ბაშა, სმისლ მოგინაძე, მისო ღაბიძა. შვილი, სოლომონ დეგოზაშვილი, ლეონა შამაძე, გელა ლოხაბაძე, გი-ვალა მრავლიშვილი, ჯურხა ნალი-რაში, თინათი ხალაში (პ/შე. მღვიანი), გივი ანაბაძე, გივი გიგინაძე.

სამხატვრო რედაქტორი გიორგი რინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი ანდო წარამილი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ: შა. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/შე. მღვიანის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის—93-98-18; გაზეთულეუ-ბის 93-98-19.

გადაეცა ასაწეობად 5.02.90 წ., ხელმო-წერილია დამბეჭდად 25.03.90 წ., კა-დელდის ზომის 60x90/4, ფის. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 141.500, შეკვაია № 2870

ფლაზ ნახატი ზაზურ დიონიძის

«Дива» («Утро») — Ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии. Главный редактор Реваз Инаншвили (тел. 93-41-30). Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14. Объём 2,5 печатных листа, тираж 141.500. Заказ №2870

168/48

მატყარი ბესიკ ზუბაშვილი



რა შეცდომაა ამ ნახატში?